დანართი N4
ვამტკიცებ _____
შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის რექტორი
2019 წლის 16 იანვარი
N 1/05 ბრძანებით

შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის

წესრიგის დაცვის და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები

ქუთაისი 2019 წ

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის(შემდგომში კოლეჯი) წესრიგის დაცვის და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცედურას.
2. ამ წესით გათვალისწინებული მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია დაცვის და უსაფრთხოების სამსახური.

მუხლი 2. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის ფუნქციები

1. სამსახურის ძირითადი ამოცანაა სკოლის შენობაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე წესრიგისა და კუთვნილი მატერიალური ქონების დაცვა, აგრეთვე სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა.
2. სამსახურის წარმომადგენელი ვალდებულია:

ა) კოორდინაცია გაუწიოს და წარმართოს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობა;

ბ) დადგენილ დროს გამოცხადდეს სამუშაოზე და იმყოფებოდეს სკოლაში სამუშაო საათების დამთავრებამდე;

გ) სამსახურში გამოცხადებისთანავე დაათვალიეროს კორპუსი, შეამოწმოს საკეტები, განათება, სატელეფონო კავშირი, მოახდინოს კორპუსის გარე დათავლიერება და ნებისმიერი დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს რექტორს.

დ) კარგად იცოდეს შენობაში კაბინეტებისა და აუდიტორიების განლაგება და თავისებურებანი. დაიცვას შენობაში არსებული ქონება დაზიანებისაგან, გაძარცვისაგან და ხანძრისაგან;

ე) აღკვეთოს შრომის შინაგანაწესის ნებისმიერი დარღვევა, აგრეთვე ალკოჰოლური სასმელების შემოტანა კორპუსში, თამბაქოს მოწევა, აზარტული თამაშები, არ დაუშვას შენობაში რაიმე ინვენტარის ან ნივთის შემოტანა-გატანა ხელმძღვანელობის ნებართვის გარეშე;

ვ) სკოლის ძირითადი და სათადარიგო გასასვლელები არ უნდა იქნეს ჩახერგილი სხვადასხვა სახეობის ინვენტარითა და მაკულატურით;

ზ) ელექტრო მეურნეობა უნდა იყოს მუდმივად გამართულ მდგომარეობაში;

თ) სახანძრო ცეცხლმაქრები უნდა იყოს მუდმივად გამართულ მდგომარეობაში.

ი) სკოლის ტერიტორიაზე ხანძრის ან სხვა სტიქიური მოვლენების შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეატყობინოს ადმინისტრაციას, სახანძრო სამსახურს, პოლიციის განყოფილებას;

მ) განახორციელოს ამ წესით, რექტორის ბრძანებით და დებულებით განსაზღვრული დავალებები თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი3. ხანძარსაწინაარმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები

3.1. უსაფრთხოების უზრუნველყოფის ადმინისტრირებისათვის შენობაში განთავსებულია სამეთვალყურეო კამერები.

3.2 .ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისთვის:

3.2.1. სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, ევაკუაციის ინსტრუქცია, რომლის შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში მოხდება შენობის უსაფრთხო დატოვება.

3.2.2.სკოლა აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით/ ცეცხლ¬მაქრებით, რომელთა ვარგისიანობის ვადას აკონტროლებს კოლეჯის ადმინისტრაცია. ცეცხლ-მაქრები განთავსებულია სათანადო ადგილებზე და მისი გამოყენების ინსტრუქცია გამოკრულია აღნიშნულ ინვენტართან და ახსნილია პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის.

3.2.3. საჭიროების შემთხვევაში, მატერიალური შესაბამისი თანამშრომელი უკავშირდება გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრს;

3.4. ცეცხლმაქრის გამოყენების ინსტრუქცია



მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. ამ წესს ამტკიცებს სკოლის რექტორი ბრძანებით.

2. ამ წესის გაუქმება, მასში ცვლილებების ანდა დამატებების შეტანა ხორციელდება რექტორის ბრძანებით.

112